Micro-GEAR

Micro-GEAR

Co-funded by the European Union



მიკროკვალიფიკაციები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა

თბილისი, საქართველო

2026

01

პროექტის პარტნიორები

01 საქართველო

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია

02 სომხეთი

- ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკოლოგიო-ნოოსფერული კვლევების ცენტრი
- სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სომხეთის ეროვნული ცენტრი (ANQA)
- აკადემიური აღიარებისა და მობილობის სომხეთის ეროვნული საინფორმაციო ცენტრი

03 გერმანია

- ზაარლანდის უნივერსიტეტი
- Giraf PM

04 ესპანეთი

- კარლოს III-ის მადრიდის უნივერსიტეტი

05 იტალია

- აკადემიური ექვივალენტობისა და მობილობის საინფორმაციო ცენტრი (CIMEA)

Micro-GEAR

microgear.org

სარჩევი

03 პროექტის შესახებ

03 რა არის მიკროკვალიფიკაცია?

04 მიკროკვალიფიკაციის მიზნები

05 მიკროკვალიფიკაციის არჩევა

06 როგორ მოვიპოვოთ მიკროკვალიფიკაცია?

07 Micro-GEAR ინიციატივის შესახებ

08 მიკროკვალიფიკაციის განხორციელების უფლების მოპოვება

09 მიკროკვალიფიკაცია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში (GNQF)

10 მიკროკვალიფიკაციის ხარისხის უზრუნველყოფა

11 მიკროკვალიფიკაციის აღიარება

12 საკანონმდებლო ცვლილებები



03

პროექტის შესახებ

Project Micro-GEAR მხარს უჭერს უმაღლესი განათლების სტრუქტურულ რეფორმებს საქართველოსა და სომხეთში მიკროკვალიფიკაციების დანერგვის გზით, რაც მიზნად ისახავს განათლების ხარისხის, რელევანტურობისა და მოქნილობის ამაღლებას. პროექტი შეესაბამება ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციას „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის მიკროკრედიტებისადმი ევროპული მიდგომის შესახებ“ და აერთიანებს 16 ინსტიტუციას 5 ქვეყნიდან.

ძირითადი ამოცანები და ინიციატივები:

- **ჩარჩოსა და პოლიტიკის დაახლოება:** ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების (NQF) განახლება, მიკროკვალიფიკაციის სტანდარტებსა და ურთიერთაღიარებაზე ეროვნული კონსენსუსის ჩამოყალიბება.
- **პილოტირება და შესაძლებლობების განვითარება**: საპილოტე პროგრამების განხორციელება და მიზნობრივი საგანმანათლებლო მოდულების შემუშავება რეფორმების ვალიდაციისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის უკუკავშირის შეგროვების მიზნით.
- **დაინტერესებულ მხარეთა კონსორციუმი:** საქართველოს, სომხეთისა და ევროპული პარტნიორი ორგანიზაციების განათლების სამინისტროების, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოების, ENIC-NARIC ცენტრებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობა.

რა არის მიკროკვალიფიკაცია?

მიკროკვალიფიკაცია არის მცირე მოცულობის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ადასტურებს პირის მიერ მცირე მოცულობის სწავლის შედეგად მიღწეულ სწავლის შედეგებს (ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს). იგი ხორციელდება სანდო პროვაიდერის მიერ, ორიენტირებულია ინდუსტრიის, შრომის ბაზრის ან საზოგადოების საჭიროებებზე და შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებს. მიკროკვალიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც დამოუკიდებელი პროგრამა, ისე გაერთიანდეს (კომბინირდეს) სხვა მიკროკვალიფიკაციებთან, ან აღიარებულ იქნეს როგორც წინარე განათლება უფრო ფართო კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის.

04

მიკროკვალიფიკაციის მიზნები

- მიზნობრივი სწავლა, რომელიც პასუხობს სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

- უნარების განვითარება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ბიზნესი და ადმინისტრირება, განათლება, ხელოვნება, ტურიზმი და სხვა.

- განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრაში წვლილის შეტანა, განსაკუთრებით იმ პირთათვის, ვისაც ნაკლები შესაძლებლობა აქვს წვდომა ჰქონდეს სრულ აკადემიურ კვალიფიკაციაზე.

- პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.



05

მიკროკვალიფიკაციის არჩევა

რატომ უნდა ავირჩიოთ მიკროკვალიფიკაცია?

მიკროკვალიფიკაცია გვთავაზობს მოქნილ, მიზნობრივ და მოკლევადიან სასწავლო შესაძლებლობებს, რომლებიც შემუშავებულია შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებადი მოთხოვნებისა და უნარების შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. იგი მსმენელებს საშუალებას აძლევს აიმაღლონ კვალიფიკაცია ან გადამზადდნენ სპეციალიზებულ სფეროებში (მაგ., ICT, ბიზნესი, განათლება, ინოვაციური ტექნოლოგიები და ა.შ.) სრული აკადემიური ხარისხის პროგრამაზე ვალდებულების აღების გარეშე. გარდა ამისა, იგი მხარს უჭერს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, ზრდის დასაქმებადობას და ხასიათდება კომბინირებადობით (stackability), რაც იძლევა დაგროვილი კრედიტების გაერთიანებისა და უფრო ფართო ფორმალურ კვალიფიკაციაში ან წინარე განათლებად აღიარების შესაძლებლობას.

ვის შეუძლია აირჩიოს მიკროკვალიფიკაცია?

- მიკროკვალიფიკაცია ღიაა მსმენელთა ფართო სპექტრისთვის. სტანდარტული მინიმალური დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

მიკროკრედიტების არჩევა ოპტიმალურია:

- დასაქმებული პროფესიონალებისთვის, რომლებიც მიისწრაფვიან კარიერული დაწინაურებისკენ;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის, რომელთაც სურთ უნარების დეფიციტის შევსება ან პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების შეძენა;
- პირებისთვის, რომელთაც სურთ პროფესიული გადამზადება;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისთვის, რომლებიც ეძებენ ხელმისაწვდომი უმაღლეს საგანმანათლებლო შესაძლებლობებს.

პროგრამის განმახორციელებელმა შესაძლოა დააწესოს დამატებითი წინაპირობები პროგრამის დონისა და სწავლის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე.



როგორ მოვიპოვოთ მიკროკვალიფიკაცია?

მიკროკვალიფიკაციის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეუძლია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (უსდ), აგრეთვე ავტორიზებულ იურიდიულ პირს (მაგ., ტრენინგ-ცენტრებს, დარგობრივ ასოციაციებსა და კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის სტანდარტებს).

სწავლების განხორციელების ფორმატები მაღალი მოქნილობით გამოირჩევა და მოიცავს:


- პირისპირ სწავლებას,
- სრულად ონლაინ სწავლებას (სწავლის მართვის ელექტრონული სისტემების (LMS) გამოყენებით,
- ჰიბრიდულ/შერეულ მოდელებს.



07

Micro-GEAR ინიციატივის შესახებ საქართველოში

Erasmus+-ის პროექტის — „მიკროკრედიტები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურა“ (Micro-GEAR) — ფარგლებში შემუშავდა მიკროკვალიფიკაციების კონცეფცია და მომზადდა შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტსა და საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციში განხორციელდა მიკროკვალიფიკაციის საპილოტე კურსები. გარდა ამისა, მომზადდა ცვლილებების პროექტები საქართველოს კანონებში „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“.



08

მიკროკვალიფიკაციის განხორციელების უფლების მოპოვება

თუ იურიდიულ პირს სურს მიკროკვალიფიკაციის განხორციელება, იგი ვალდებულია გაიაროს მიკროკვალიფიკაციის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურა. აღნიშნული პროცედურით დგინდება, აკმაყოფილებს თუ არა განმახორციელებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, კერძოდ:





შემუშავება და განვითარება


მიკროკვალიფიკაციის პროგრამის დიზაინი და სტრუქტურა.





სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება

სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასების ადეკვატურობა.





მსმენელზე ორიენტირებული მიდგომები და რესურსები

მსმენელზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა.






ხარისხის უზრუნველყოფა

სწავლა-სწავლების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები



09



მიკროკვალიფიკაცია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში GNQF

- GNQF მე-6 და მე-7 დონეები
- სწავლის შედეგები
- შესაბამისობის დადგენა

მიუხედავად იმისა, რომ მიკროკვალიფიკაცია მცირე მოცულობისაა და შესაძლოა სრულად არ მოიცავდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სრული კვალიფიკაციისთვის დადგენილ ჩარჩოს დონის აღმწერებს, იგი აუცილებლად უნდა ფარავდეს დონის აღმწერის სამივე კატეგორიას: ცოდნა და გაცნობიერება; უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

მიკროკვალიფიკაციის შესაბამისობა საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (GNQF) მე-6 (ბაკალავრიატი) და მე-7 (მაგისტრატურა) დონეებთან დგინდება მისი სწავლის შედეგების შედარებით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერებთან და იმავე დონის შესაბამისი დარგის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებთან.

ამ პროცესში გადამწყვეტია გამჭვირვალობა და არგუმენტირებული დასაბუთება. მიკროკვალიფიკაციის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობის შესახებ ყველა გადაწყვეტილება მკაფიოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული და დასაბუთებული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი სანდოობა და აღიარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მიკროკვალიფიკაციის ხარისხის უზრუნველყოფა

კვალიფიკაციის ჩართვა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში

კვალიფიკაცია აისახება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში, თუ დაკმაყოფილებულია ორი პირობა:

1. კვალიფიკაცია აღწერილია სწავლის შედეგებით.
2. გავლილი აქვს ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურა.



მიკროკვალიფიკაციის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს გამჭვირვალე, სწავლის შედეგებზე დაფუძნებული და მსმენელზე ორიენტირებული. ეროვნულ დონეზე მიკროკვალიფიკაციის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები დაეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) განახორციელებს მიკროკვალიფიკაციის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების პროცესის ადმინისტრირებას.

11

მიკროკვალიფიკაციის აღიარება

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმების თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, მიკროკვალიფიკაციების აღიარება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ კონტექსტში გადამწყვეტ როლს თამაშობს სწავლისა და სწავლების მოქნილობა, გამჭვირვალობა და ხარისხი:

- მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგები უზრუნველყოფს მიკროკვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კონკრეტულ დონესთან და ხელს უწყობს მის შედარებადობას სხვა პროგრამებთან.

- ინფორმაციაზე სრული წვდომა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. მიკროკვალიფიკაციას თან უნდა ახლდეს ისეთი ძირითადი ელემენტები, როგორიცაა სწავლის შედეგები, სასწავლო დატვირთვა (ECTS), დონე ეროვნულ და ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოებში, შეფასების ფორმა, გაცემის თარიღი, გამცემი დაწესებულება და სხვა.

- ხარისხის უზრუნველყოფა კრიტიკულია აღიარების პროცესისთვის. შიდა და გარე შეფასების მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდნენ მიკროკვალიფიკაციის სანდოობასა და ლეგიტიმურობას. სასურველია, მიკროკვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული შედეგები დასტურდებოდეს ციფრული სერტიფიკატით.



13

მიკროკვალიფიკაციების დანერგვა უმაღლესი განათლების სისტემაში

საკანონმდებლო ცვლილებები

პროგრამის მახასიათებლები:

- დონე: პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 (ბაკალავრიატი) ან მე-7 (მაგისტრატურა) დონეს.
- მოცულობა: განისაზღვრება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 30 კრედიტით (ECTS).

მიკროკვალიფიკაციის აღიარება:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ენიჭებათ უფლებამოსილება, სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის საფუძველზე, საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში აღიარონ მიკროკვალიფიკაციის პროგრამით დაგროვილი კრედიტები (შესაბამისი პროგრამის მთლიანი მოცულობის არაუმეტეს 1/4-ისა).

რეგისტრაცია და სერტიფიცირება:

- ინფორმაცია პროგრამებისა და მინიჭებული მიკროკვალიფიკაციების შესახებ აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რეესტრში.
- მიკროკვალიფიკაციის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული მიკროკვალიფიკაციის ელექტრონული სერტიფიკატი.
- სსიპ — განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS) უზრუნველყოფს შესაბამისი ციფრული სერტიფიცირების პლატფორმის შექმნასა და ამოქმედებას.

Micro-GEAR

Co-funded by the European Union

microgear.org



Micro-GEAR

Co-funded by
the European Union